



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი

**საჯარო სამართლის იურიდიული
პირი - აჭარის კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის**

ბრძანება № 5

„ 3 “ დ ე ბ ე რ ე ლ ი 2011 წ .

სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის
სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის
წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის N386 დადგენილების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა არქეოლოგიური, საკულტო და საფორტიფიკაციო დანიშნულების ობიექტებისა) სამუშაოების ნებართვის გაცემის, შესრულებული სამუშაოების შუალედური და საბოლოო ანგარიშებისა და სამუშაოთა მიღების, სანებართვო პირობების კონტროლისა და ძეგლზე სამუშაოების სანებართვო პირობათა ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის საკითხის განხილვის უფლებამოსილება მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში შექმნილ სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის N386 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის წესი.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სააგენტოს დირექტორი



სოფიო ლაზიშვილი

სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის
სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს
საქმიანობის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გამოყენების სფერო

სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის N386 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების შესაბამისად. წესი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა არქეოლოგიური, საკულტო და საფორტიფიკაციო დანიშნულების ობიექტებისა) სამუშაოების ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის (შემდგომში – დირექტორი) სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (შემდგომში – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო) საქმიანობის წესსა და პირობებს.

თავი II
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო

მუხლი 2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ფუნქციები

1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო არის სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია სააგენტოს თანამშრომლებითა და მოწვეული სპეციალისტებით.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ფუნქციები:

ა) განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციას; კომპეტენციის ფარგლებში უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმებისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხებს;

ბ) განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლებზე ჩასატარებელ სამუშაოთა წინადადებებსა და საპროექტო დოკუმენტაციას, მათ სისტემატიზაციასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-მეთოდურ საკითხებსა და